



გამუპა ცუხიშვილი

მცხეთის ჭადა ეპატერინეს (ოლღას) სახელობის დედათა მონასტერი

მცხეთის რკინიგზის სადგურის ზემოთ, ბაგინეთის (სინას) მთის ფერდობზე, მწვანეში ჩაძირულ პატარა სავანეს მცხეთის მიდამოებიდან მხოლოდ ზამთარში თუ მოკრავ თვალს. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ბუნება გულში იხუტებს მრავალსაუკუნოვან და მრავალჭირნახულ სულიერების კერას, რომლის შესახებ ისტორიული ცნობები ძალიან მწირია, თუმცა უაღრესად სანტერჯსო და მნიშვნელოვანი.

იბერიის (ქართლის) ძველ დედაქალაქ მცხეთაში “შეფეთა სამყოფელი” არმაზის ციხე ქართულ წერილობით ძეგლებში ცნობილია, როგორც – ქართლი, ქალაქი, დედაქალაქი, არმაზი, ბაგინეთი, უცხოურში – ჰარმოზიკე, ჰერმასტუ, ჰარმაკტიკა და სხვ.

ქართველი თუ უცხოული მეცნიერ-მკვლევარები, ისტორიკოსები, გეოგრაფები და მოგზაურები, ყველანი თანხმდებიან, რომ არმაზციხე, იგივე ბაგინეთი იმ ადგილას იდგა, რომლის შესახებაც ვახუშტი წერს: “[ახალქალაქურის] დასავლით მცირე კევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩრდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლის და უწოდა სახელი თუსი, აროდეს შემუსრვილი მტერთა-გან, რომელი დადგა ყრუს მოსლვასაცა. ამ ადგილის გამო ეწოდა ამ ქუეყანათა ქართლი. მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზი, სახელისა თუსისა, და მის გამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას. და დაეფლა ქართლის აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თუსისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი რომელნი იყვნენ, იგინი იყვნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინო. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქითგან ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუ-

მცხეთის ცოდა ეკატერინეს მონასტერი

საგან და შემდგომად მისა მოოქრდა, ხოლო აწ არს დაბნები”.¹

მარი ბროსე სინას მთაზე მოხსენიებულ დედათა მონასტერს ბაგინეთან აიგივებდა და წერდა: „სინას მთაზე იყო დედათა სავანე; ეს იგივე ბაგინეთია. ახლა ის ტყითაა შემოსილი. ეს იყო მცხეთის ერთ-ერთი ლამაზი აღვილი“.²

ქართული პროზის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდიაც, რომელმაც შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია, ამავე აზრისა იყო, როცა წერდა, რომ მისი ცნობილი რომანის „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი შორენა ბაგინეთის მონასტერში აღკვეცეს მონაზვნად.

აღვნიშნავთ, რომ ბაგინეთის, იგივე სინას მთად წოდებულ (ანუ არმაზის) მიდამოებში იმ პერიოდში (და შემდეგაც) სხვა დედათა მონასტერი არ ყოფილა და არც იცნობს ჩვენი სამეცნიერო-საისტორიო და არქეოლოგიური საზოგადოება.

XII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის, ერთიანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ I გულაბერისძის შესახებ ისტორიულ წყაროებში მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. მისი ჩამომავლობის შესახებ ძირითადად ვგებულობთ მისივე თხზულებიდან „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლომესა და კათოლიკე ეკლესიისამ“. სვეტიცხოვლის ერთ-ერთი სასწაულის აღწერისას კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზმა საკუთარი ბიოგრაფიის მცირე მონაკვეთი ჩართო, კერძოდ, როგორ გადარჩენ ახალგაზრდა ნიკოლოზი და მისი თანმხლებნი „ცხოველი სვეტის სასწაულის“ წყალობით. სწორედ ამ ჩანართიდან ვგებულობთ, რომ ნიკოლოზი წარმოშობით კახეთიდან ყოფილა და როცა ბიძასთან, სუმონთან, რომელიც იმხანად არმაზში, საბას მონასტერში მოღვაწეობდა, მიღიოდა, ლირით გახდა სასწაულის ხილვისა: „ჟამსა მას სიყრმისა ჩემისასა, რაჟამს-იგი წეტარი მამის ძმად ჩემი სუმონ, პირველ პატრიარქობასა მისისა, მონასტერსა შინა იყო წმიდისა საბახსასა, არმაზს“.

ნიკოლოზ I ბიძის, ქართლის კათოლიკოს სუმონის შესახებ წმიდა პოლიეგეტოს კარბელაშვილი წერს: „ესე იყო გულაბერისძე, ბიძა სახელოვანის კათალიკოსის ნიკოლოზისა, კახელი. აღიზარდა არმაზის წმიდა საბას მონასტერში, რომელიც შემდეგ მეუე დავით აღმაშენებელმა შესწირა სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტერს.

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეცნისა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 339.

² Brosset, Maries-feliceite, Histoire de la Géorgie depuis l'antiquité jusqu'au XIX siècle, St.-Peterbourg, 1858, c. 210.

მამუკა ცუხიშვილი

XVII საუკუნეში ისევ დედათა მონასტერი იყო; აქ მოღვაწეობდა სპარ-სეთიდგან მოსული ცოლი ზურაბ ერისთავისა, რომელიც მოლოზნად შედგა და თავისი დიდაძი ქონება იქვე მიიტანა და შესწირა. დღეს ეს მონასტერი ვიღაც გორნიჩის ცოლის ხელშია”³.

ნიკოლოზ გულაბერისძის მიერ გადმოცემული ფაქტი არმაზში წმიდა საბას მონასტრის არსებობის შესახებ, რა თქმა უნდა, უჭის არ იწვევს. რაც შეეხება წმიდა პოლიევქტოსის კომენტარს, ის შესწორებას საჭიროებს. საქმე ისაა, რომ მან ნიკოლოზის ბიძად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სუმონ III მიიჩნია. სუმონ III კი მოღვაწეობდა წმიდა მეფის ბაგრატ III (975-1014 წწ.) დროს, სწორედ მან აკურთხა ქუთაისის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი, რომელიც ცნობილია ბაგრატის ტაძრის სახელით. რაც შეეხება ნიკოლოზ I-ის ბიძას, სუმონ IV გულაბერისძეს, რომელსაც კათოლიკოსის ტახტზე აღსაყდრებამდე არმაზში წმიდა საბას მონასტერში უმოღვაწია, იგი ქართული ეკლესიის მამათმთავარი კათოლიკოს-პატრიარქის იოვანე VI-ის შემდეგ გახდა, ვინც დავით აღმაშენებლის დროს მოღვაწეობდა და 1104 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას თავჯდომარეობდა. კათოლიკოს-პატრიარქი სუმონ IV (1128-1144 წწ.) იყო „ბრძენი კათალიკოსი და დიდი მამამთავარი საქართველოსა“.

გობრონ საბინინი წერს, რომ „ნეტარი და უწმიდესი კათალიკოზი სუმონ, როგორც გვამცნობებს უწმიდესი კათალიკოზი ნიკოლაოზ I, ჰსცუნერებდა იოანე კათალიკოზის შემდეგ თანამედროვესა წმ. მეფე დავით აღმაშენებელისა, ვახუშტი არა რას მოგვითხრობს მისთვის და როგორცა ჰსხანს, არცა იცის თუ ყოფილ არს ეს კათალიკოზი თუ არა“⁴.

ის ფაქტი, რომ სუმონ IV გულაბერისძე კათოლიკოს-პატრიარქობდე არმაზში წმიდა საბას მონასტერში მოღვაწეობდა, იმ აღვილას, სადაც დღეს ეკატერინეს (ოლღას) სახელობის მონასტერი, იგივე ახალქალაქური დგას, XII საუკუნის დასაწყისში წმიდა საბას სახელობის მამათა მონასტრის არსებობას ადასტურებს. რადგან საისტორიო მასალების მიხედვით არმაზში, ისევე როგორც მთელს აღმოსავლეთ საქართველოში, წმიდა საბას სახელობის სწავლა მონასტერი არსად არ გვხვდება.

გიორგი სააკაძის პიროვნებაზე, მის სამხედრო ნიჭისა და ტალანტზე ბევრი რამ დაიწერა, მას არაერთმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა უძღვნა წიგნი, მათ შორისაა იოსებ თბილელი, ანტონ ფურცელაძე, მოსე ჯანაშვილი, გიგო ხეჩუაშვილი, სიმონ ქვარი-

³ პოლიევქტოს კარგელაშვილი, იერარქია საქართველოს ეპლესისა, კათოლიკოსი და მღვდელიმთავარი, ტფ., 1900, გვ. 59.

⁴ მიქაელ-გობრონ საბინინი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურღი, 1882, გვ. 109.

მცხეთის ცოდა ეკატერინეს მონასტერი

ანი, ჯანსუდ ლვინჯილია, ლევან სანიკიძე და სხვ. სიმონ ქვარიანი მოგვითხრობს (რომელიც შემდგომ ყველა ავტორის გამოცემაში მეორდება) მეფე ლუარსაბ II-ისა⁵ და გიორგი სააკაძის დაპირისპირების შესახებ, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზარდა: „ლუარსაბ მეფე ამ დროს იყო კოჯორში. მან დაიბარა სააკაძე ვითომდა ყარაიაზში სანადიროდ. აქ მოეყარათ თავი სააკაძის მტრებს თავიანთი რაზმებით, მათი მიზანი იყო აქვე მოეკლათ სამშობლოს ერთგული ადამიანი და დაეღვარათ მისი წმიდა სისხლი“. დამე იყო, მაგრამ გიორგი სააკაძე უმაღვე ეახლა მეფეს და ყოფილ სიძეს „აცნობეს სააკაძის მოსვლა, მტრები მოემზადნენ მის თავზე დასაცემად. დილის რიურაუზე ისინი ეცენ თავიანთი რაზმებით სააკაძის სადგომს, შემოეხვიენ ირგვლივ, დასცეს ყიუინა და დაუშინეს თოფები. ისინი გარეთ იწვევდნენ სააკაძეს უშვერი ლანძღვა-გინებით“. თუმცა ვიდრე ეს მოხდებოდა, მზე ახალი ამოსული იყო, როცა სააკაძის ერთგული მხედარი ჩივაძე მიაღდა სააკაძის სადგომს და გიორგის აცნობა: „თავს უშველე! გიღალატეს! მოდიან მტრები შენს მოსაკლავად!“. გიორგიმაც არ დაყოვნა და გაეშურა თავის ცოლ-შვილთან ნოსტეში. სასწრაფოდ თავი მთას შეაფარეს, საიდანაც ნათლად ჩანდა სააკაძის ცეცხლმოდებული სასახლე და ისმოდა ყმა-გლეხების გმინვის ხმა. „რისთვის? რა დავაშავე ასეთი? განა ეს არის ჩემი ლვაწლის და ჩემი ერთგულების საზღაური?“ — ხმამაღლა მოთქვამდა დიდი მოურავი.

საფრთხისაგან თავის დასაღწევად გიორგი სააკაძემ, რომელმაც „იცოდა ყოველი გზა და ბილიკი, ოჯახით და მხლებლებით გასწია იმ გზით, საიდანაც ნაკლებად მოელოდა მტერთან შეხვედრას. ამ რიგათ მიაღდა მცხეთას, წმიდა საბას შევნიერ სავანეს, ამჟამინდელ ოლღას მონასტერს“.⁶ იმავეს აღნიშნავს თავის ნაშრომში დიმიტრი ბაქრაძე: „მცხეთის ხიდთან ახლოს ბაგინეთს მდგარა მამათა მონასტერი, შენებული წმიდა საბას სახელზედ, მერმინდელ დროში დედათა სავანეც ყოფილა, ამჟამად იავარექმნილია“.⁷ ხოლო პროფ. გივი ჯამბურია გიორგი სააკაძესთან დაკავშირებით წერს: „ჯერ სცადეს ახ-

⁵ ლუარსაბ II (1592-1622 წწ.) — ქართლის მეფე 1606-1616 წლებში. 1606 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი X და თბილისში მყოფმა შაპაბას I-მა 14 წლის ლუარსაბი მეფედ დაამტკიცა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1609 წელს ტაშისკარის ბრძოლაში. 1608 წლის დეკემბერში ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო დიდი მოურავის გიორგი სააკაძის და, რომელსაც თავადთა და აზნაურთა დაუინტელი მოთხოვნით მაღვე გაფარა, ამას მოჰყვა დაპირისპირება და განხეობდება, რითაც ისარგებლა შინამტრებმა და მეფესა და დიდ მოურავს შორის გზები სამუდამოდ გაფარა.

⁶ სიმონ ქვარიანი, ქართველი ერის ტრაგედია, გიორგი სააკაძე და მისი დრო, ქუთ, 1911, გვ. 44.

⁷ დიმიტრი ბაქრაძე, საქართველო, თბ., 1877-78 წწ. გვ. 176.

მამუკა ცუხიშვილი

ალცინისკენ წასვლა, ოსმალეთში გადასვლის მცდელობით, მაგრამ თავი შეაფარეს მცხეთის ახლოს, კარსნის ტყეში⁸:

როგორც ჩანს, მონასტერი ახალქალაქური XVII ს-ის დასაწყისში მცხეთის რაიონის სოფელ კარსანს ეკუთვნოდა, რასაც გიორგი სააკაძის ძმისწული, მიტროპოლიტი იოსებ თბილელიც⁹ ამოწმებს პოემაში „დიდმოურავიანი“:

„ფეხის მიწერარვის დრო მოპხდა, ღამეა მგონ ძილისპირისა;
ჩემს სიკვდილს მსწრაფლ მოელიან, ცოლშვილი ამად ტირისა.

უთხარ: „ნუგეშისთ, ღმერთია მამალხენელი ჭირისა.

კიდევ წყალობით მომზედავს, კვერთხი იესეს ძირისა. (126)

„უთხარ: „წავიდეთ, ახლავ სჯობს, საქმენი მინაშერია,
კარსანის თავი წავლევით, სად ახალქალაქურია;
ჩაველ, იქ საყდარს ჩამოვხე, ჩემთან მყოლთ ლოცვა სწყურია,
იქ მყოფი არვინ დაგვიხვდა, მონათა ჭამეს პურია“. (127)

„საყდარსა ღვთის მშობლისასა ჩვენ შევეხვეწეთ მუდარათ:

„ამ შეჭირების მგზავრობას შენ ნუ გვიქ გასაცუდარათ.

გზა მოგვეც იორდანისა, ვინც რომ ხართ ნავთ საყუდარათ,
დამხსენ რყევას და სარჯელსა, ვიქმნე სამ დასაყუდარათ“. (128)

იოსებ თბილელის მოწოდებული ცნობა სრულ უფლებას გვა-
ძლევს დავასკვნათ, რომ მეფე ლუარსაბ II დევნილმა გიორგი საა-
კაძემ ოჯახით და ამალითურთ ერთი ღამით თავი სწორედ ახალქა-
ლაქურს, იმავე ეკატერინეს მონასტერს შეაფარა.

აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილი ნაშრომში „საქართველოს ის-
ტორიის საკითხები“ წერს: „მტკვრის მარჯვენა მხრით შევყევით.
გავუარეთ ახალქალაქურს. არმაზისხევს (ვახუშტით — ქართლის
ხევს), ციხედიდს (ხევს) და ძეგვს მივატანეთ. რამდენად მეტყველი და
მცხეთის ისტორიული გეოგრაფიისთვის მნიშვნელოვანია მონასტრის
ეს სახელი — ახალქალაქური. ან ვახუშტის ცნობა იმისშესახებ, რომ

⁸ კვით ჯამბურა, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 61.

⁹ იოსებ თბილელი, სააკაძე (1620-1688 წწ.), ბაგშვილიძან იზრდებოდა ქვათახვის მონასტერში, იქვე აღიკვეცა ბერად და გადაჯიდა სამოღვწეოდ იმერუთში, სადაც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მალაქა II-მ (გიორგი II გურიელის ძე) ჯერ არქო-
მანდრიტობა უბოძა, ხოლო მოგვიანებით აგურთხა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსად. მაღვევ,
მეფე როსტომის (იგვე როსტომ-ხანი, ხოსრო მირზა დაუთ-ხანის ძე, 1632-1658 წწ.) და
მარიამ დედოფალის თხოვნით გადაეცანილ იქნა სამცხე-საათაბაგოში მაწყვერულ მთავარ-
ეპისკოპოსად. ამ ნაბიჯით მეფე-დედოფალი ცდილობდნენ როსტომ ფაშა-ჯაველის ანტი-
ქართული და ანტიმართლობადიდებლური პოლიტიკის შესუსტებას, რაც არ მოხდა, ანუ
როსტომ-ფაშამ თავისი ნათესავი, მწყვერული იოსები კოუდრიდან გამოაძევა. იმავე წელს
მეფემ თბილელის ახალგათვისუფლებულ ტახტზე მიტროპოლიტობა უბოძა.

მცხეთის ცოდნა ეკატერინეს მონასტერი

„იყო ქალაქი აქითგან ვიდრე ნაქულბაქევამდე და ყრუსგან და შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო აწ არს დაბნები“.¹⁰

როდესაც წმიდა პოლიევეტოს კარბელაშვილი საუბრობს ზურაბ ერისთავის მეუღლის შესახებ, ჩანს, რომ იგი ითვალისწინებს ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებას“, სადაც გიორგი სააკაძისა და ზურაბ არაგვის ერისთავის საუბარია გადმოცემული: „მაშინ მოურავმა უთხრა რჩევით ზურაბს, რომე „მოდი ქართლს ნუ აძოვსწყვეტო და არც ჩვენ დაგვინდობენო, მრავლის ლიქნითა და სიტყვის რჩევით და მრავლის ცდილობით დასთმო ზურაბ ცოლი თვისი და მოურავმა შვილი თვისი პაატა დასთმო“.¹¹

აქვე შევნიშნავთ, რომ საქმე ეხება ზურაბ არაგვის ერისთავის პირველი მეუღლისა და გიორგი სააკაძის ვაჟის პაატას მძევლებად დატოვებას შაპ-აბას პირველის კარზე. 1625 წელს, როდესაც ქართლ-კახეთში სააკაძის მეთაურობით აჯანყება დაიწყო, შაპის ბრძანებით, პაატას თავი მოჰკვეთეს და გიორგის გამოუგზავნეს საქართველოში, ხოლო ზურაბის მეუღლე ტყვეობიდან მხოლოდ 1629 წელს, მას შემდეგ, რაც შაპ-აბას I გარდაიცვალა, გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ მის მეუღლეს უკვე მეორე ცოლი ჰყავდა. ამიტომ იგი მონაზვნად აღიკვეცა, ყოფილი ქმრისგან კანონით მიღებული დიდბალი ქონება ბაგინეთის ღმრთისმმობლის მონასტერის (იგივე ახალქალაქური, ოლდას მონასტერი) შესწირა და 1640-იან წლებში იქვე აღესრულა.

გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავისაგან შვილისა და ცოლის სამშობლოსათვის შეწირვის ამბავს მეფე პოეტი არჩილიც იხსენიებს და მათ საქციელს მაგალითად უსახავს ქართველებს:

„სახელისთვის მათ ცოლ-შვილი, ორთავ დასთმეს ეს იცოდეთ,
გინ არ მიჰყეთ მათ საქმესა, იცოდეთ რომ დიდად სცოდეთ.
სჯულისა და ქვეყნისათვის, რა იქნების, რასაც ჰყოფდეთ,
აწ ეს პქენით ქართველებო, ანდერძივით შვილს ეტყოდეთ“.¹²
პ. იოსელიანის „დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება“

¹⁰ ნიკოლოზ ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 406.

¹¹ ბერი გვნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ფ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბ., 1940, გვ. 152

¹² არჩილ მეფე, „ცხოვრება მეფისა თემურაზ პირველისა“, აღწერილი ლექსიდ არჩილისაგან მეფისა, კომეტარები და შენიშვნები პლატონ იოსელიანისა, თფლისა, 1853, გვ. 61.

არჩილის პოემის გამოცემულ ტექსტს ჩვენ შვეუდარეთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში პ. იოსელიანის პირად ფონდში (№ 142) დაცული ხელნაწერი, სადაც 83-ე გვერდის სქოლიობში წერაა: “გიორგიმ ისპაანს დატოვა შვილი პაატა, რომელიც წამებით მოკლეს, ხოლო ზურაბ ერისთავმან პირველი ცოლი, რომელიც ქართლში დაბრუნდა ტყვეობიდან და მოლოზნად აღიკვეცა ბაგინეთის ახალქალაქურს”. ეს ბოლო ორი სიტყვა გამოცემულ ტექსტებში შეტანილი არაა.

მამუკა ცუხიშვილი

1973 წელს რუსულიდან თარგმნა გ. თარხნიშვილმა, გამოცემას თანდართული აქვს ვახტანგ სიდამონიძის წინასიტყვაობა და შენიშვნები; წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „...ზურაბ ერისთავის ცოლი კი, ძალით გამაპმადიანებული, შაპის ცოლებს მოახლეოდ მიუყენეს. შაპაბასის სიკვდილისა და ქმრის გარდაცვალების შეძლევ იგი საქართველოში 48 წლისა დაბრუნდა, კვლავ იწამა მართლმადიდებლობა და მონაზვნად გარდაიცვალა, მან დიდი სიძლიდრე უანდერძა ახალქალაქერის მონასტერს, რომელმაც მისი ცხედარი „დედაბერ მართას“ სახელით მიიბარა“.¹³

სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორში დაცულია ერთსტროფიანი ლექსი, რომელიც უსათუოდ იმ „დედაბერ მართას“ უნდა ეძღვნებოდეს, რომელმაც უცხოობასა და ტყვეობაშიც არ დაკარგა რწმენა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებული მონაზვნად შედგა, თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები იქ გაატარა და იქვე აღესრულა:

„ისპაანითგან სამშობლოს
დაბრუნებულა მართა,
მცხეთას დამკვიდრდა, ილოცდა,
ცას რწმენით წარემართა“.¹⁴

ისტორიულ გადმოცემას პაატა სააკაძისა და ზურაბ ერისთავის შესახებ მწერალი ჯანსუდ ღვინჯილიაც იზიარებს და წერს: „ზურაბის ცოლს სიკვდილი არც ემუქრება, მისი გადარჩენის შანსი მაინც არსებობს. შაპი ცხადია, აჯანყების მეთაურზე, გიორგი სააკაძეზე იძიებს შურს. ეს ასეც მოხდა, პაატას თავი მოჰკვეთეს, ზურაბის ცოლი კი თუმცა გვიან, მაგრამ მაინც დაბრუნდა სამშობლოში და მონაზვნად აღიკვეცა ახლექალაქერის მონასტერში“.¹⁵

ქართლის ცხოვრების ვახუშტი ბატონიშვილისეულ აღწერაში ვკითხულობთ: „სამხრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხოვართა და ზროხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს ზეით არს დევს-ნამუხლი – კლდე, გაჭრილი გზად. მას ზეით მუხათ-გუერდი, მას ზეით, მცხეთის ხიდის სამხრით, არს მონასტერი ახალქალაქერი, ყოვლადწმიდისა, უგუმბათო, კეთილს ადგილს; იდგნენ მოწესენი“.¹⁶ იგივე ტექსტი მეორდება ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიაში“, რომელიც 1997 წელს

¹³ პლატონ იოსელიანის, დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ცხოვრება, თბ., 1973, გვ. 64.

¹⁴ ძველი საქართველო, რედ. ე. თაყაიშვილი, ტფ., 1913, გვ. 319.

¹⁵ ჯანსუდ ღვინჯილია, გიორგი სააკაძის პირვებება, თბ., 1980, გვ. 306.

¹⁶ ქართლის ცხოვრება. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 339.

მცხეთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი

გამოსაცემად მოამზადა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტმა. წიგნის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან პროფესორები დავით უკლება და კობა ხარაძე. შენიშვნებში (№ 207) ვკითხულობთ შემდეგს: „ახალქალაქური, მონასტერი მცხეთის ხიდის სამხრეთით, იგივე წმიდა ნინოს ეკლესია, რომელიც მაღალი მთიდან დასცემის სადგურ მცხეთას“, იგივე მეორდება სახელთა საძიებელშიც, რაც, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოითხოვს გასწორებას.

მოსე ჯანაშვილის აღრეული პერიოდის სამეცნიერო წერილებში მცხეთის დღესასწაულებთან დაკავშირებით აღნიშნულია: „...სინას მთაზე (ბაგინეთს) მდგარა მონასტერი, ვგონებ სამი ტაძრით. გადმოცემით, ღმრთისმშობლის მიძინების, წმიდა დიდმოწამე ეკატერინესი და დიდმოწამე მარინესი, თუმცალა, ზუსტი მდებარეობა ჩვენთვის უცნობია“.¹⁷

ანტონ ნატროშვილი წერს: „არმაზისგან აღმოსავლეთით, სარკინეთის მთაზე, გორნიჩების მამულში, დღემდე შემორჩა სამი ეკლესის ნანგრევები: წმიდა ეკატერინეს, ღვთისმშობლისა და მოწამე მარინეს ეკლესიებისა. მათ შორის მთავარი, წმიდა ეკატერინეს ეკლესია რესტავრირებული იქნა ქალბატონ გორნიჩის სახსრებით 1891 წელს და იქვე დააფუძნა დედათა მონასტერი. ტაძარი და მონასტერი ეკურთხა საქართველოს ეგზარქოსის, ეპისკოპოს პალადის და სხვა სასულიერო პირების მიერ. ეკლესის სტილი ძველებურია – ქართული, ნავისებური, დაახლოებით ხუთი საუკი სიგრძის და სამი საუკი სიგანის. ეკლესის წინ არის ტალავერი. ეს ეკლესია დგას მამულის აღმოსავლეთით. მისგან ცოტა მოშორებით ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს, რომელიც ძველია – თაღიანი კანკელის გარეშე. მთავარ ეკლესიაში მოჩუქურთმებული ქვის კანკელია. მესამე ეკლესია წარმოადგენს ნანგრევებს. სამხრეთით კედელში ჩანს თაღი, იქვე ჩანს კანკელსა და ეკლესის შუა ნაწილს შორის ჭიხვის კვალი. ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენის დროს მუშების მიერ მიწიდან იქნა ამოღებული ღვთისმშობლის ხატი. წმიდანის სახე ამოხატულია ხეზე. იგი თავსაბურავის გარეშეა თოთო ბავშვით ხელში. მონაზონთა თქმით, ეს არის სასწაულმოქმედი ხატი. როცა მოსახლეობას ცუდი ემუქრება, ცეცხლი ხატის წინ ქრება, კარგის მოლოდინში კანდელში ცეცხლი სულ ანთა. ეკლესიაში პატარა ოთახია მონაზონთათვის. ისინი სამნი არიან. ქალბატონ გორნიჩს უნდა ჩამოაყალიბოს დედათა საზოგადოება. იქ, სადაც დგას ნაპოვნი ხატი, არის უძველესი ხე – აკაკი, ის მთლიანად

¹⁷ მოსე ჯანაშვილი, მცხეთის დღესასწაულის გამო, ღროვა, თბ., 1881 წლის 7 ოქტომბერი.

მამუკა ცუხიშვილი

გაშავებულია სიძველისგან. ხალხის თქმით ხე რამდენიმე ასწლეულს ითვლის და მას დიდი პატივისცემით ეპყრობიან“.¹⁸

ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთას, რომელზედაც მონასტერი „ახალქალქური“ მდებარეობს, სინას მთასაც უწოდებენ: „უძველესი ტაძრები მდგარა სინას მთის ახალქალაქურად წოდებულ მონასტრის ტერიტორიაზე, რომელთაგან ერთი ღვთისმშობლისა საერთოდ აღარა სჩანს, ხოლო ორი აღდგენილია 1890-1900 წლების მახლობლად“.¹⁹

ჩვენთვის უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია დიმიტრი ბაქრაძის აზრი: „ბაგინეთს, იგივე სარკინეთს, სხვა ვერსიით სინას მთად წოდებულ ალაგს მდებარე კეთილ სავანეს თავისი წვლილი შეუტანია მცხეთის ისტორიაში, რასაც მოწმობს მრავლისმეტყველი გზა, რომელიც ამ ადგილმა განვლო დაარსების დღიდან (V საუკუნე) დღემდე. აქ ხან წმიდა საბას, ხანაც დიდმოწამე ეკატერინეს, ხანაც ღვთისმშობლის სახელზე აღევლინებოდა წირვა. ერთ ხანს წმიდა დიდმოწამე მარინეს სახელობისიც ყოფილა პატარა ტაძარი. ახლა მთლად განადგურებულია, ზუსტი ადგილის დადგენაც კი განელებულია“.²⁰

ენციკლოპედიურ ცნობარში „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა“ ამ მონასტრის შესახებ წერია: „...რკინიგზის სადგურის პირდაპირ მთის ფერდობზე მდგარი XI – XII საუკუნეებში აშენებული ღვთისმშობლის სახელობის (ახალქალაქური) სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“.

ცნობილი ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგი განმარტავს: „ღვთისმშობლის ეკლესია („ახალქალაქური“, „ოლდას მონასტერი“) მდებარეობს მცხეთის რკინიგზის სადგურის პირდაპირ, მთის კლდოვან ფერდზე. მდ. მმტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია დარბაზულია (13,6 X 6,7 მ.). ნაგებია ფლეთილი ქვით. შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. აფსიდა ნახევარწრიულია. აღმოსავლეთის, სამხრე-

¹⁸ Антон Натроев, Мцхет и его собор Свэти-Цховели: Историко-археологическое описание. Тифлис, 1900. გვ. 94.

¹⁹ ანტონ ნატროვი-ნატროშვილი (1852-1930 წ.) — ცნობილი ქართველი პედაგოგი, მწერალი და შეკვეთები. ფზანის სასულიერო აკადემიის კურსებამთავრუბული მაგისტრის ხარისხით მრავალ სპეციალისტითან ერთად ანტონი იყო ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი სევტიცხოვლის რესტავრაციის სამუშაოებისა, რის შემდგვაც დაიწერა დასახლებული ნაშრომი, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და მნიშვნელობა.

²⁰ Н. Северов, М., 1946, с. 56.

²¹ Бакрадзе, Д. Известия Кавказского общества истории и археологии, Тифлис, 1882, с. 243.

მცხეთის ცოდა ეკატერინეს მონასტერი

თისა და ჩრდილოეთის კედლებში თითო სარკმელია. ეკლესია შელესილია და შეთეთრებულია. ეკლესიას დასავლეთიდან ეკვრის კარიბჭე, გადახურული ვარსკვლავისებრი კამარით, რომლის ცენტრში ორნამენტიანი მედალიონია. ეკლესია და კარიბჭე თარიღდება XI-XII სს-ით. სახელდებულია როგორც „ახალქალაქური“, ხოლო „ოლდას მონასტერი“ XIX საუკუნის 90-იან წლებში მიიღო ინჟინირ გორნიჩის ცოლის გამო, რომელმაც აღმოაჩინა და გაწმინდა ეს ეკლესია²¹. თითქმის ამავე ტექსტს იმეორებს გიორგი ბარისაშვილი, ოღონდ დამატებული აქვს შემდეგი: „1609 წელს მეფე ლუარსაბისგან დევნილმა გიორგი საკაძემ ახლობლებთან ერთად თავი ამ მონასტერს შეაფარა“²².

მცხეთა წმინდა ადგილია და მასში დაცულ სიწმინდეთა გამო წმიდა ქალაქადაც იქნა გამოცხადებული, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ჩრდილშია დარჩენილი და ნაკლებად ცნობილი სინას მთაზე ახალქალაქურის, იგივე წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტერი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება არაბეთის ნახევარკუნძულზე, სინას მთაზე, ზღვის დონიდან 1528 მ სიმაღლეზე მდებარე წმ. ეკატერინეს მონასტერს, სადაც საუკუნეების განმავლობაში დაუღალავად მოღვაწეობდნენ ჩვენი დიდი და სახელოვანი წინაპრები – იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, იოანე სინელი და სხვ. სინას მთის ეკატერინეს მონასტერში ქართველები VI საუკუნის დასაწყისში გამოჩინენ, ხოლო პირველი ქართული საკრებულო (კოლონია) IX საუკუნის შუა წლებში ჩამოაყალიბეს. ქართველებმა იმთავითვე დაიწყეს ტაძრების აგება და შეუდგნენ დაუცხრომელ მოღვაწეობას, ერთ-ერთი დიდი ტაძარი დიდმა მეფემ წმიდა დავით აღმაშენებელმაც ააგო ამ დიდებულ სავანეში.

ცნობილმა შეეიცარიელმა მოგზაურმა, სიძველეთმცოდნემ და გეოლოგმა მარი-ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798 – 1850) 1831-34 წლებში იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში, გაეცნო რა საქართველოს მდიდარ ისტორიულ წარსულს, მის კულტურას, ხუროთმოძღვრებას, გეოგრაფიასა და სიძველეებს, 1839-43 წლებში შვიდტომად გამოაქვეყნა უნიკალური ინფორმაციის შემცველი მასალები, რომელთაც თანდართული აქვთ ბიბლიოგრაფიულად იშვიათი რეკენი, ერთგან ვკითხულობთ: „თანდათან მივიწევდით მაღლა, მდ. მტკვრის ხეობის სიღრმეში. ძველ ხიდზე, რომელიც ორ კლდეს შუა იყო გადგებული, გადადიოდნენ მგზავრები უძველესი კოშკის ძირას.

²¹ რუნე შმერლინგი, სამთავრო – მამაკანის XI საუკუნის 1, თბ., 1942, ც. 39.

²² გიორგი ბარისაშვილი, მცხეთის შემოგარენის ტაძრები, თბ., 2013.

უკან დაგვრჩა ბაგინეთის მთა, გადმოცემით ქართველებს აქ აუგიათ ტაძარი დიდი წმინდანის სახელზე და სინას მთას ამარაგებდა ლიტ-ერატურით. ხოლო ხიდი აუგია თურმე პომპეუსს, რომელმაც გაუძლო ბუნების არაერთ სტიქიას“.²³

1811 წელს მცხეთას სტუმრობდა და მთელი გულისყურით სწავლობდა მის წარსულს გამოჩენილი ფრანგი მოგზაური კარლ ფრიგანგი, რომელმაც ფეხდაფეხ მოიარა მცხეთა. ერთ-ერთ პუბლიკაციაში იგი წერს: „პომპეუსის ხიდის მახლობლად, 2 ვერსზე, მაღალ მთებს შუა საუცხოო ადგილას ყოფილა მორწმუნე ქალთა საცხოვრებელი, რომელიც ახლა სავსებით აღარ ჩანს“.²⁴

კ. ხარაძის აზრით: „ახალქალაქური მონასტერი ყოფილა მცხეთის ხიდთან, სადაც ახლა ნანგრევების ნაშთია დარჩენილი, წმიდა ნინოს ეკლესიის სახით“.²⁵ მონასტერი რომ წმიდა ნინოს სახელობისა არ იყო, ამას ადასტურებს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ინფორმაცია: „გუშინწინ, 22 ოქტომბერს, მცხეთის ახლოს, გორნიჩის მამულში აკურთხეს წმიდა ეკატერინეს სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია ფრიად ძველი იყო, ალაგ-ალაგ ჩამოქცეული და დანგრეული, ბატონმა გორნიჩმა ყურადღება მიაქცია და თავისის ხარჯით განაახლა ძველი ტაძარი. ეკლესიის კურთხევას დაესწრნენ: მცხეთის მონასტრის წინამდღვარი ნინო²⁶, რეინიგზის მღვდელი ი. ნანობაშვილი და რკინიგზის უფროოსობა და მრავალი ხალხი. კურთხევის შემდეგ გორნიჩის სახლში დამსწრენი სადილად მიიწვიეს“.²⁷

²³ Dubois, Frederic de Montpereux , Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée, T. 2, Paris: 1839. p. 298.

²⁴ “Voyage au mont Caucase et en Géorgie”. Paris, 1823. გვ. 161.

²⁵ კობა ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია (შიდა ქართლი), თბ., 1992, გვ 39-40.

²⁶ 1865 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეპარქოსმა ესვეგმა მონაზონ ნინო ამილახვარს უბომა იღუმენიას წოდება და დანიშნა სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის წინამდღვრად, რომელიც მას დირსეულად განაგებდა 40 წლის განმავლობაში.

²⁷ გაზეთი „ივერია“, თბ., 1892 წლის 24 ოქტომბერი, № 224, გვ. 4.

აღსანიშვნია, რომ ქართველი ისტორიკოსები მხოლოდ ნებატურად აფასებენ ეპარქის მოღვაწეობას, მაშინ, როდესაც XIX ს-ის ქართული პრესა გაცალებით ობიექტიურად და სამართლიანად აშექებს მოვლენებს. 1887-1892 წლებში საქართველოს ეპარქიაში იყო პალადი (რავი, 1827-1898 წწ.), ვინც 1892 წლის 22 ოქტომბერს საზეიმო ვითარებაში წმიდა ეკატერინეს სახელზე პირადად აკურთხა გორნიჩის მამულში აღდგენილი და განახლებული ეკლესია, თანამწირველები იყენენ აღავერდელი ეპისკოპოსი ბესარიონ დადიანი და ქაბათხევის მონასტრის წინამდღვრი არქიმანდრიტი ნიკოლოზი (მასალა აღებულია კავკასიის კალენდრის 1893 წლის გამოცემიდან), ამავე ეპარქიაში ინიციატივით და წვენი ერის სახელოვნ ადამიანებთან (დომიტრი ბაქრაძე, ექვთომე თავაშეილი, თელო უორდანია) კონსულტაციების შემდეგ თბილისში დარსდა და ამოქმედდა საეკლესო მუზეუმი, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია საქართველოს და მის მრავალსაუკუნეების ეკლესიას.

მცხეთის ცოდა ეკატერინეს მონასტერი

XIX ს-ში, მთელს კავკასიაში საქართველო იმთავითვე პრივალეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობა 1865 წელს დაიწყო. პირველმა მატარებელმა მარშრუტით ფოთი-ყვირილა (ზესტაფონი) 1871 წელს გაიარა, ხოლო თბილისიდან ფოთის მიმართულებით — 1872 წლის 10 ოქტომბერს. სწორედ ეს თარიღი ითვლება საქართველოში რკინიგზის დაბადების დღედ.

საიდან იყვნენ გორნიჩები წარმოშობით, ჩვენთვის უცნობია, თუმცა თავისთავად ცხადია, რომ გორნიჩი სახელოვანი და გამოცდილი სპეციალისტი უნდა ყოფილიყო, რომელიც იმუამინდელმა მთავრობაში მოიწვია სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად. წარმატებული და დაჩქარებული სამუშაოებისთვის ხელისუფლებამ გორნიჩი წაახალისა და სააგარაკედ მიწის ნაკვეთი გადასცა ბაგინეთის მთის შუა წელში, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა საქართველოს უძველესი სატახტო დედაქალაქი მცხეთა.

ერთ დღეს, როდესაც თანმხლებ პირებთან ერთად სააგარაკე მიწას ათვალიერებდა, გორნიჩმა შენიშნა ჯვარი, რომლის გარშემოც თითქმის მაშინვე დაიწყეს გათხრები, რათა გაერკვიათ, რა საუნჯე იმალებოდა. დადგა ეს დღეც. აუარებელი მცხეთელის თვალწინ გამოჩნდა მშენებერი ტაძარი, „რომელიც არის დარბაზული და ნაშენები ყოფილა ფლეთილი ქვით. ზომას და შიდა სივრცეს საეგზარქოსოდან დაათვალიერებენ და ჩვენც გაუწიებთ“.²⁸

მომდევნო თვეებში ცნობილი გახდა, რომ ახლადაღმოჩენილ ტაძარში უპოვიათ „ღვთისმშობლის პატარა, ძველი ხატი, რომელიც გამოსახულია მანდილის გარეშე ყრმა იესოსთან ერთად“.²⁹

სამწუხაროდ, რკინიგზის წარმატებულმა ინჟინერმა გორნიჩმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა იმ დროს, როცა მამულში პატარა კოხტა ბინა ჩადგა. ცხადია, შემჩარავი აღმოჩნდა ოლღასთვის მეუღლის მოულოდნელი და ბურუსით მოცული თვითმკლველობა, რამაც ახალგაზრდა ქალს, მათ მიერ აღმოჩენილ, გაწმენდილ, შეკეთებულ და უკვე ნაკურთხ ტაძართან დედათა მონასტრის დაარსება გადააწყვეტინა, რომლის პირველი იღუმენია თავადვე გახდა. თუმცა, ზუსტი თარიღი მონაზვნად აღკვეცისა ჩვენთვის უცნობია.

ენათმცნიერი სერგო მელიქიძე ამ ტოპონიმ „ოლგას მონასტერის“ შესახებ წერს: „ოლგას მონასტერი“ — მონასტერი ბაგინეთის მთაზე,

²⁸ გაზ. დროება, თფ., 1891, 14 ოქტომბერი.

²⁹ გაზ. ცნობის ფურცელი, თფ., 1893, იანვარი.

მამუკა ცუხიშვილი

გზა ადის სადგურის უბნიდან, ბაგინეთის ქუჩის გავლით (მცხეთა)“.³⁰ თანამედროვეთაგან კი ძალიან ცოტამ თუ იცის ამ ულამაზესი მონასტრის არსებობის შესახებ და ამიტომ მას არაერთი თანამედროვე ავტორი სპეციალურ საცნობარო გამოცემაშიც კი არ ასახელებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა დაცვის განყოფილება ინახავს დოკუმენტს, სადაც ტაძრის შესახებ ვკითხულობთ: „ღვთისმშობლის ეკლესია, ახალქალაქური დგას მცხეთის რკინიგზის სადგურის პირდაპირ, მთის კლდოვან ფერდზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. აგებულია მე-11-12 სს. აქ არსებული სამონასტრო კომპლექსიდან შემორჩენილია ღვთისმშობლის და საცხოვრებლად გადაკეთებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიები. ისტორიულ წყაროებში ღვთისმშობლის ეკლესია ცნობილია ახალქალაქურის სახელწოდებით. 1609 წელს მეფე ლურასაბისგან დევნილმა გ. სააკაძემ თავის ახლობლებთან ერთად თავი ახალქალაქურის მონასტრის შეაფარა. მე-19 ს. 90-იან წლებში ვინმე ოლღა გორნიჩმა გააწმენდინა მიწით დაფარული ეპლესია, შეაკეთებინა და დააარსა იქ ქალთა მონასტერი. ღვთისმშობლის ეკლესია დარბაზულია (13.6X6.7 მმ.), ნაგებია საშუალო ზომის ნატეხი ქვით, შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. აღმოსავლეთით განიერი, ნახევრადწრიული აფსიდია. დარბაზის ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღი პილასტრებს ეყრდნობა. აღმოსასვლელის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში გაჭრილია თითო სარკმელი (აღმოსასვლეთის სარკმელი მე-19 საუკუნეშია გადაკეთებული). კანკელი (მე-13-19 სს.) იმეორებს შუა საუკუნეების კანკელთა ფორმას. ამჟამად ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია. ეკლესიას დასავლეთით ეკვრის კარიბჭე, რომლის შუა ნაწილი გვერდით ნაწილებთან შედარებით რამდენადმე ამაღლებულია. იგი გადახურულია კედლის პროფილირებულ ორნამენტიან შევრილებზე დაყრდნობილი ვარსკვლავისებრი შეკრული კამარით, რომლის ცენტრში ორნამენტიანი მედალიონია ვარდულით. გარედან კარიბჭეს სამხრეთის კედელი საერთო მოხაზულობიდან გამოწეულია. დასასვლელის ფასადზე შემორჩენილია ლავგარდნის ორი ქვა. კარიბჭე თავისი კონსტრუქციითა და გაფორმებით სამთავროს ტაძრის სამხრეთ კარიბჭის მსგავსია და განეკუთვნება მე-11-12 სს.“

ამავე უწყებაში ძეგლი სახელდებულია როგორც „ღვთისმშობლის ეკლესია“, 2003 წლის 30 მარტს მინიჭებული აქვს სტატუსი

³⁰ სერგო მელიქიძე, მცხეთის რაიონის ტოპონიმია, თბ., 2007, გვ. 108.

მცხეთის წმიდა ეკატერინეს მონასტერი

— „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი“, სტატუსი მიანიჭა საქართველოს კულტურის, მეგლობა და სპორტის სამინისტრომ, დოკუმენტის № 3/133, რეესტრში რეგისტრირებულია 2007 წლის 3 ოქტომბერს № 2512, ტაძრების (მონასტრის) აგების თარიღად მიჩნეულია შუა საუკუნეები — IV-VIII სს. და განვითარებული შუა საუკუნეები — მე-10-15 სს.

1892 წლიდან 2010 წლამდე წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის დედათა მონასტერს ჰყავდა ოთხი, ეროვნებით რუსი წინამძღვარი —

1. იღუმენია ოლღა (გორნიჩი),
2. იღუმენია ანტონინა,
3. სქემიღუმენია ანგელინა,
4. იღუმენია პელაგია.

ამჟამად კი მონასტრის პირველი ქართველი წინამძღვარი იღუმენია ანა (ქარლავა) გახლავთ. დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარი და მონასტრის სულიერი მოძღვარია მღვდელმონაზონი სერაფიმე (ჯიქია), რომელიც აქ 2015 წლიდან მოღვაწეობს.

მონასტერში ამჟამად ცხოვრობს ერთადერთი სქემმონაზონი 82 წლის ბარბარე (ჟიგალცოვა), რომელიც აქ მოსულა 14 წლის ასაკში, მორჩილებაში გაუტარებია სრული 40 წელიწადი და 1988 წელს, 54 წლის ასაკში აღკვეცილა მონაზვნად. ასევე, მონასტერში ცხოვრობს — ოთხი მონაზონი, სამი მორჩილი და ოთხი სამორჩილე.

მონასტრის დღესასწაულია 24 ივლისი, კიევის დიდი მთავრის იგორ იზბორსკელის მეუღლის, წმიდა მოციქულთასწორის ოლღას (წმიდა ნათლისძღვით ელენე) ხსენების დღე (მიიცვალა 969 წელს), ასევე მთავარ დღესასწაულებად ითვლება 28 აგვისტო, ყოვლადმიდღა დღითი სმშობლის მიძინების დღე (ტაძარი იკურთხა არქიმანდრიტი ისააკის (ლადუა) მიერ, ამავე დღეს მონაზვნად აღიკვეცა მონასტრის ამჟამინდელი წინამძღვარი, იღუმენია ანა) და 7 დეკემბერი, დიდმოწამე ეკატერინეს ხსენების დღე. მთავარი ტაძარი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით მეორედ, 2015 წლის 7 დეკემბერს აგარაკ-წალკის ეპისკოპოსმა გრიგოლმა (კაცია) აკურთხა.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1960-70-იან წლებში მონასტერს ხშირად სტუმრობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (სიღამონიძე, 1896-1972 წწ., მამა-მთავრობდა 1960-1972 წლებში), მასთან ერთად რამდენჯერმე სტუმ-

მამუკა ცუხიშვილი

რად ყოფილა იმჟამად ჯერ შემოქმედის, ხოლო შემდეგ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II (შიოლაშვილი), რასაც დიდი სიხარულით იხსენებს დედა ბარბარე.

ამჟამად ამ მონასტერში დამკვიდრებული დედების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბოლო 5-7 წლის განმავლობაში მთავარი ტაძარი განსაკუთრებული რუდუნებით შეკეთდა და გამშვენდა ხატებით. გალამაზდა მონასტრის ეზო, კეთილმოეწყო საცხოვრებელი სენაკები, სტუმრების მისაღები ოთახი და სატრაპეზო. პატარა პანთეონში, სადაც განისვენებენ მონასტერში სხვადასხვა დროს მოღვაწე დედები, დაიდგა ჯვრები, რომლებზეც მათი სახელებია წარწერილი. ტაძრებში წირვა-ლოცვა არა მხოლოდ საუფლოსა და დიდ დღესასწაულებზე, არამედ ყოველ შაბათ-კვირას აღესრულება. ხოლო მარწვისას უწყვეტად მიმდინარეობს 24 საათიანი ლოცვა.

დაე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში აღვლენილი ლოცვის მადლი მა დაიცვას სრულიად საქართველო, თვით სავანეში დამკვიდრებული დედანი, მათი შემწენი და კეთილისმყოფელნი, თანამლოცველნი და თანამოსაგრენი, ამინ.

